ავლაგმოთ მშვიდობის მჯრეები, ყაჩაღები!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 252 (12460) | ხუთშაბათი, 25 ოქტომბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ბ. რასელის დეპეშა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

მოგმართავთ და მოგიწოდებთ არ აჰყვეთ პროვოკაციას კუბაში შეერთებული შტატების გაუმართლებელი მოქმედების გამო. მსოფლიო მხარს დაუჭერს სიფრთხილეს. დაბეჯითებით გირჩევთ ეძებოთ დაგმობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით. ნაჩქარევმა მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს კაცობრიობის დაღუპვა.

ბერტრან რასელი.

1962 წლის 23 ოქტომბერი.

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ბერტრან რასელისადმი

პატივცემულო ბატონო რასელ!

მივიღე თქვენი დეპეშა და გულწრფელ მადლობას გიძღვნით იმ ძეშფოთებისათვის, რომელსაც თქვენ იჩენთ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების გამო, რაც მსოფლიოს ომის ზღვარზე აყენებს.

მე მესმის თქვენი აღელვება და შეშფოთება. მსურს აღგითქვათ, რომ საბჭოთა მთავრობა არ მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას, რომელიც უგუნური იქნება, არ აჰყვება პროვოკაციას ამერიკის შეერთებული შტატების გაუმართლებელი მოქმედების გამო და ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ აღიკვეთოს გამოუსწორებელი შედეგებით აღსავსე სიტუაცია, რომელიც შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აგრესიულ მოქმედებასთან დაკავშირებთ. ჩვენ ყოველ ღონისძიებას განვახორციელებთ, რათა არ ატყდეს ომი. სავსებით ვითვალისწინებთ, რომ თუ ეს ომი გაჩაღდება, იგი პირველივე საათიდან გახდება თერმოატომური და მსოფლიო ომი. ეს ჩვენთვის სავსებით ნათელია, მაგრამ, როგორც ჩანს, არ არის ნათელი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის, რომელმაც ეს კრიზისი გამოიწვია.

ამბობენ, ამერიკის მთავრობა ამ უგუნურ გზას დაადგა არა მარტო კუბელი ხალხისა და მისი მთავრობისადმი სიძულვილის გამო, არამედ იმის გამოც, რომ ხელმძღვანელობს საარჩევნო მოსაზრებებით, პარტიებს შორის წინასაარჩევნო აყიოტაჟის ციებცხელებაში. მაგრამ ეს ხომ სიგიჟეა, რომელსაც შეუძლია მსოფლიო გადაჩეხოს თერმოატომური ომის კატასტროფის უფსკრულში. ადამიანებს, რომლებსაც პასუხისმგებლობა აკისრიათ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკისათვის, უნდა ეფიქრათ იმაზე, რა შეიძლება მოჰყვეს მათ უგუნურ მოქმედებას, თუ გაჩაღდება თერმოატომური ომი. ამერიკის მთავრობის აგრესიულ პოლიტიკას თუ არ გადავუღობეთ გზა, მაშინ შეერთებული შტატების ხალხი, ისევე როგორც სხვა ხალხები, იძულებული იქნება მილიონობით ადამიანის სიცოცხლის ფასად აგოს პასუხი ასეთი პოლიტიკისათვის.

გთხოვთ, ბ-ნ რასელ, გაგებით მოეკიდოთ ჩვენს პოზიციას, ჩვენს მოქმედებას. ჩვენ შეგნებული გვაქვს ამერიკის მთავრობის მეკობრული მოქმედებით გამოწვეული მდგომარეობის მთელი სირთულე და არ შეგვიძლია რაიმე ფორმით დავეთანხმოთ მას. თუ ჩვენ წავაგალისებთ მეკობრეობასა და ბანდიტიზმს საერთაშორისო სამართლის ნორმების განმტკიცებას და, მაშასადამე, მართლწესრიგის განმტკიცებას, რომელსაც ემყარება როგორც სახელმწიფოების, ისე ხალხების, ადამიანების ნორმალური ურთიერთობა. ამიტომ თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უხეშად გათელავს, დაარღვევს საერთაშორისო უფლებებს, თუ იგი არ იმოქმედებს გონების მოწოდებათა შესაბამისად, მაშინ უკიდურესობამდე გამწვავებული მდგომარეობა შეიძლება აღარ დაექვემდებაროს კონტროლს, და ეს შესაძლოა გადაიქცეს მსოფლიო ომად, რასაც სავალალო შედეგები მოჰყვება ყველა ქვეყნის ხალხებისათვის.

აი რატომ არის ახლა საჭირო არა მარტო საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ქვეყნებისა და კუბის ღონისძიებანი, რომელიც მსოფლიო კრიზისის თავმოყრის მთავარი ფოკუსი გახდა, არამედ საჭიროა ყველა სახელმწიფოს, ყველა ხალხისა და საზოგადოების ყველა ფენის ღონისძიებანი, რათა თავიდან ავიცილოთ ომის კატასტროფა. ეს კატასტროფა თუ მოხდა, იგი კაცობრიობას მოუტანს ძალიან მძიმე შედეგებს და არ დაზოგავს არც მემარჯვენეებს, არც მემარცხენეებს, არ დაზოგავს არც იმათ, ვინც მშვიდობის საქმეს იცავს, არც იმათ, ვისაც სურს განზე გადგეს.

ერთხელ კიდევ მინდა ვთქვა: ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ არ დავუშვათ ასეთი კატასტროფა. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ღონისძიებანი შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს. ჩვენი ღონისძიებანი და შესაძლებლობანი ეს ხომ ერთი მხარის ღონისძიებანი და შესაძლებლობანია. თუ ამერიკის მთავრობა განახორციელებს მის მიერ დასახული მეკობრული მოქმედების პროგრამას, მაშინ ჩვენი უფლებებისა და იმ საერთაშორისო უფლებების დასაცავად, რომლებიც ჩაწერილია საერთაშორისო შეთანხმებებში და გამოხატულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, ჩვენ, რა თქმა უნდა, იძულებული ვიქნებით გამოვიყენოთ დაცვის საშუალებანი აგრესორის წინააღმდეგ. სხვა გამოსავალი არა გვაქვს. კარგად არის ცნობილი, თუ ეცდები დაამშვიდინო ყაჩაღი იმით, რომ ჯერ მისცემ საფულეს, მერე პალტოსა და სხვა რამეს, ამის შედეგად იგი არ გახდება უფრო ლმობიერი, არ მოეშვება ყაჩაღობას. პირიქით, იგი უფრო თავხედი ხდება. ამიტომ უნდა ავლაგმოთ ყაჩაღი, რათა ჯუნგლის კანონები არ იყოს ცივილიზებულ ადამიანებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის კანონები.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გამოიჩინონ თავშეკავებულობა და შეაჩერონ უაღრესად სერიოზული შედეგებით აღსავსე თავიანთი მეკობრული მუქარების რეალიზაცია.

ომისა და მშვიდობის საკითხი იმდენად საარსებო მნიშვნელობის საკითხია, რომ ჩვენ სასარგებლოდ მიგვაჩნია შეხვედრა უმაღლეს დონეზე, რათა განვიხილოთ ყველა წარმოქმნილი საკითხი, ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ მოვსპოთ თერმოატომური ომის გაჩაღების საფრთხე. სანამ არ ამოქმედებულა რაკეტულ-ატომური იარაღი, ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა თავიდან ავიცილოთ ომი. როცა ამერიკელები დაიწყებენ აგრესიას, ასეთი შეხვედრა უკვე შეუძლებელი და უსარგებლო იქნება.

ერთხელ კიდევ მადლობას გიხდით თქვენი მომართვისათვის, რომელიც ნაკარნახევია ზრუნვით მსოფლიოს ბედისათვის.

თქვენი გულწრფელი პატივისმცემელი

ნ. ხრუშჩოვი.

მოსკოვი,
1962 წლის 24 ოქტომბერი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

24 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობდა მუშაობას.

გრძელდებოდა კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მეშავანაძის მოხსენების — „საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის, საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში“ — გამო.

კამათში გამოვიდნენ: თელავის რაიონის სოფელ სანიორეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. მარგალიტაშვილი, საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ს. მატოიანი. ამით დამთავრდა პლენუმის დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვა.

შემდეგ პლენუმმა დაიწყო დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვა. მოხსენება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებაში“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. მ. სირაძემ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა ს. ჩხარტიშვილმა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა დ. ბოგოხიამ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. დავითაძემ, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ყურაშვილმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ჩოგოვაძემ, თბილისის ტანსაცმლის ვაჭრობის № 24 მაღაზიის გამყიდველმა ი. ბაკიძემ, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. თითბერიძემ, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა მ. ღვინჯილიამ, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ბაზაევმა, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის პარტბიუროს მდივანმა ბ. შუბლაძემ, მახარაძის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ვ. დათუნაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ფაცაციამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. კვაჰაძემ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. პ. მეშავანაძემ.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილებანი. (საქდესი).

საქართველოს მშრომელთა მიტინგები

მეკობრული სამარცხვინო ბოძზე

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის ეზოში გამართულ საპროტესტო მიტინგზე თავი მოიყარეს იმ ადამიანებმა, რომლებიც თავიანთი ყოველდღიური ნაყოფიერი შრომით აჩქარებენ კომუნიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

ტრიბუნაზეა მემანქანე ა. გომართელი. იგი გულისწყრომით ლაპარაკობს ამერიკის იმპერიალისტური წრეების ახალი აგრესიული გადაწყვეტილების შესახებ.

კუბის მიმართ ამერიკის ახალი აგრესიის შესახებ თავიანთი პროტესტი გამოთქვეს და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბჭოთა მთავრობის განცხადებას და მიღებულ ღონისძიებებს საამქროს უფროსმა ზ. ჩილაძემ, სკკპ XXII ყრილობის დელეგატმა, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა ვ. ელიზარაშვილმა, საამქროს უფროსმა ვ. ტალახაძემ, მექანიკური საამქროს ხარატმა გ. გულიაშვილმა, ოსტატმა ა. ლატინოვამ და სხვებმა.

მიტინგის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ელმავალსაშენებლო ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ერთსულოვნად იწონებს საბჭოთა მთავრობის განცხადებას, გმობს ამერიკელ აგრესორთა ახალ აგრესიულ გადაწყვეტილებას კუბის მიმართ.

სურათზე: საბჭოთა მთავრობის განცხადებისადმი მიძღვნილი მიტინგი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხანაში. ტრიბუნაზეა სკკპ XXII ყრილობის დელეგატი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ვ. ელიზარაშვილი.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

პროვოკაციული ნაგიჯი

28 ოქტომბერს, საღამოს, როცა მაუდკამეოლის კომბინატის სახელოვანი კოლექტივი შემოქმედებით შრომაში იყო ჩაბმული, რადიოთი მოისმინეს საბჭოთა მთავრობის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების ახალი აგრესიული გადაწყვეტილების შესახებ. ქარხნის ეზოში სახელდახელო მიტინგზე შეგროვდნენ მეორე და მესამე ცვლის მუშები და მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

ტრიბუნაზეა საქსოვი საამქროს კომუნისტური შრომის დამკვრელი მ. ქოლეტი.

— ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კუბაზე ბლოკადის დაწესება პროვოკაციული ნაბიჯია, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის აბუჩად აგდებაა.

საბჭოთა მთავრობის განცხადება შოიწონეს და ამერიკის აგრესია კუბის წინააღმდეგ ერთხმად დაგმეს სიტყვით გამოსულმა მრთველმა მ. ღვინიამვილმა, საამქროს უფროსმა ნ. ქილიფთარმა და სხვებმა.

უგუნური პოლიტიკა

გუშინ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის კოლექტივი კუბის წინააღმდეგ ამერიკის ახალი აგრესიული გადწყვეტილების თაობაზე გამართულ საპროტესტო მიტინგზე მოვიდა შრომაში გამარჯვებული. მან ათი თვის საწარმოო გეგმა ოცი ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა და 60 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა სამშობლოს.

მიტინგი გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ვასილიევმა. კუბის წინააღმდეგ ამერიკის აგრესიის თაობაზე საბჭოთა მთავრობის განცხადების შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ქარხნის დირექტორი ლ. ივაშოვი.

სიტყვას იღებს მექანიკური საამქროს ხარატი ა. ომარაშვილი. მან გულისწყრომა გამოთქვა ამერიკის აგრესიული წრეების უგუნური პოლიტიკის გამო ახალგაზრდა კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მოიწონეს საბჭოთა მთავრობის განცხადება და დაგმეს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედება.

გულისწყრომა, აღშფოთება

ბათუმი. (ტელეფონით, საკ. კორ.). საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში იმართება ხალხმრავალი მიტინგები. გუშინ გემსამშენებლო ქარხანაში გამართულ მიტინგზე კატარღის სამშენებლო საამქროს უფროსმა ვ. ნარსიამ თქვა: — ჩვენი ქარხნის კოლექტივი, რომელიც ცდილობს დაეხმაროს ახალგაზრდა კუბის რესპუბლიკას, დიდი ხალისით ასრულებს სამშენებლო შეკვეთებს კუბელი ძმებისათვის. ქარხანამ უკვე რამდენიმე წყალქვეშაფრთებიანი სამგზავრო კატარღა გაუგზავნა კუბელებს. ამერიკელი პროვოკატორების საპასუხოდ კიდევ უფრო დავეხმარებით კუბელ ხალხს.

— ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პროვოკაციულმა გამოსვლამ, — თქვა მიტინგზე საამქროს ოსტატმა ვ. ფილიჩევმა, — ჩვენი გულისწყრომა გამოიწვია. ამერიკელი იმპერიალისტები სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ. მე ვიყავი კუბაში. იქ ბევრ კუბელს რჩევა-დარიგებას ვაძლევდი წყალქვეშაფრთებიანი კატარღის მართვისა და მოვლის წესებზე. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მივცეთ საშობლოს რაც შეიძლება მეტი პროდუქცია.

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა აგრეთვე სოფელ ახალშენის კოლმეურნეობაში.

— ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელები ცდილობენ მოუსპონ თავისუფლება კუბის მშრომელებს, — თქვა კოლმეურნე ო. დიასამიძემ, — მაგრამ ამას ვერ ეღირსებიან. მე ათი შვილის დედა ვარ. ყველა მაგალი შრომაშია ჩაბმული. ერთი შვილი, ნოდარი, ახლახან დაბრუნდა საბჭოთა არმიიდან. მოელი ჩემი ოჯახის წევრები თავდადებულად ვიმუშაავებთ საკოლმეურნეო მინდორში და ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ საკოლმეურნეო სიუხვის შექმნის საქმეში.

მეტალურგები გმობენ...

რუსთავი. (საკ. კორ.). ყველგან — საამქროებში თუ უბნებში, ქარხნებში თუ დაწესებულებებში იმართება ხალხმრავალი სახელდახელო მიტინგები, მიძღვნილი საბჭოთა მთავრობის განცხადებისადმი.

მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში გამართულ მიტინგზე სიტყვა პირველმა ითხოვა უფროსმა მვალცავმა ა. აბუციძემ.

— ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ახალ აგრესიას მიმართეს, — თქვა მან. — მათ ფაქტიურად დაიწყეს კონტინენტური ბლოკადა, მოახდინეს ამერიკის ჯარების ახალი გადასხმა კუბის ტერიტორიაზე. გუანტანამოს თავიანთ ბაზაში. ამით ამერიკელებმა ერთხელ კიდევ გამოააშკარავეს თავიანთი თავი, როგორც აგრესორებმა.

საბჭოთა მთავრობამ დროული განცხადება გააკეთა, განუმარტა მსოფლიოს ამერიკის იმპერიალიზმის ბოროტი ზრახვანი და იქვე განაცხადა, რომ იხმარს ყოველ ღონისძიებას, რათა საკადრისი პასუხი გასცეს აგრესორებს. ჩვენ, რუსთაველი მეტალურგები, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, დიდად აღშფოთებული ვართ ამერიკის იმპერიალიზმის ამ უგუნური პოლიტიკით, საესებით ვუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის განცხადებას და მტკიცედ მოვითხოვთ, რომ ამერიკელებმა შეწყვიტონ თავიანთი ვერაგული მოქმედება კუბის წინააღმდეგ. პირობას ვდებ დავდგე მშვიდობის ვახტზე და ენერგიული ღა თავდადებული შრომით ყოველდღიური დავალება შევასრულო 150-155 პროცენტით.

მიტინგზე ასეთივე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ ოსტატი რ. ბელიძე, საამქროს პროფორგანიზაციის თავმჯდომარე ბ. ქავთარაძე და სხვები.

შევაჩეროთ აგრესორი

ბუდაპეშტი, 24 ოქტომბერი. (საქდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით გმობს შეერთებული შტატების მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, რომელიც უგულებელყოფს საერთაშორისო სამართალს და მოითხოვს, რომ შეიცვალოს ღონისძიებანი, რომლებიც მოასწავებენ საფრთხეს ზღვაოსნობისადმი და უშუალოდ სამხედრო პროვოკაციას, ნათქვამია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში, რომელიც უნგრეთის დეპეშათა სააგენტომ გადმოსცა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით მხარს უჭერს კუბისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა განცხადებებს. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ინტერესების შესაბამისად და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ძალების თანხმობით მან განახორციელა შესაბამისი ღონისძიებანი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პროვოკაციული მოქმედების წინაშე.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მოელის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო განახორციელებს ეფექტიან და სწრაფ ღონისძიებებს შეერთებული შტატების სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა და უნგრელი ხალხი სოლიდარობას უცხადებენ და გულმხურვალედ, ძმურად მიეალმებიან კუბის მთავრობასა და მცირე კუბელ ხალხს.

ძმური სალამი საბჭოთა ხალხს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ამხანაგებმა ვალტერ ულბრიხტმა, ოტო გროტეოლმა, იოჰანეს დიკმანმა და ერიხ კორესმა ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ლ. ი. ბრეჟნევს გამოუგზავნეს საპასუხო დეპეშა, რომელშიც მადლობას უძღვნიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მე-18 წლისთავის გულითადი მილოცვისათვის.

დეპეშაში მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის ხალხებს ყოველმხრივი ძმური დახმარებისათვის, რომელსაც ისინი უწევენ გერმანელ ხალხს გერმანიის მშვიდობის შენარჩუნებისა და უზრუნველყოფისათვის, გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისა და დასავლეთ ბერლინის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის ბრძოლაში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის წარმატებით მშენებლობაში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელები ძმურ სალამს უთვლიან საბჭოთა ხალხს და უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

სირცხვილი იმპერიალისტებს

მოსკოვი, 23 ოქტომბერი. (საადესი). დედაქალაქის ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მეტალურგებმა დღეს ხალხმრავალ მიტინგზე გულმხურვალედ მოიწონეს საბჭოთა მთავრობის განცხადება, რომელიც გამოქვეყნდა ამერიკის მმართველი წრეების ახალი აგრესიული მოქმედების გამო საყოველთაო მშვიდობის წინააღმდეგ.

— ჩვენს პლანეტას სერიოზული საფრთხე დაემუქრა, — მღელვარედ თქვა ფოლადის მავთულის საამქროს მუშამ ნ. ზ. ზახაროვამ. — ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საშიშ გზას დაადგა. ყველა, ვისთვისაც ძვირფასია სამართლიანობა, უნდა დაიარაზმოს, რათა დაიცვან მშვიდობა, კაცობრიობის ბედნიერება.

მიტინგზე გამოვიდნენ — „750“ დგანის უფროსი მვალცავი გ. ე. ბლიასოვი, მარტენის საამქროს მეფოლადის თანაშემწე ვ. ვ. კაინოვი და სხვები. მათ გულისწყრომით დაგმეს ამერიკელ აგრესორთა პროვოკაციული მოქმედება.

კუბა — კუბელებს

ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხები აღშფოთებით შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის გამოსვლას 22 ოქტომბერს. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ მსოფლიო გადაჩეხონ თერმოატომური ომის უფსკრულში.

გუშინ თბილისის „საქტრიკოტაჟის“ ფაბრიკის სამკერვალო საამქროში გაიმართა სახელდახელო მიტინგი. მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა გ. ფოცხიშვილმა.

ტრიბუნაზეა ფაბრიკის დირექტორი ა. ანტონოვა. იგი ეყრდობით ლაპარაკობს, რომ კვლავ იკრიბება შავი ღრუბლები კარიბის ზღვის თავზე. მაგრამ ამაოდ ცდილობენ ამერიკელი აგრესორები დათრგუნონ სუვერენული კუბა და ამით თერმოატომური ომის კატასტროფის უფსკრულში გადაჩეხონ მსოფლიო.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მოწინავე მკსოველები თ. დიაკენშვილი, გ. ტოლმაჩოვა, ა. აირაპეტოვა, ვ. მურავლიოვა და სხვები. მათ ფაბრიკის მთელი კოლექტივის სახელით ერთხმად დაგმეს ამერიკელი აგრესორების ვერაგული გადაწყვეტილება კუბის რესპუბლიკის მიმართ და მხარი დაუჭირეს საბჭოთა მთავრობის განცხადებას.

მიტინგის დასასრულს ფაბრიკის მუშამოსამსახურეებმა მიიღეს რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია, რომ ფაბრიკის კოლექტივი გმობს ამერიკელი აგრესორების თვითნებობას თავისუფალი კუბის მიმართ.

— ჩვენ თქვენთან ვართ, კუბელო შეგობრებო! კუბა — კუბელებს — ნათქვამია რეზოლუციაში.

სიტყვა — ფოლადი

ბუდაპეშტი, 24 ოქტომბერი. (საქდესი). ... ...

უშიშროების საბჭოს სხდომა

მეკობრული მორალი, სულის სიღარეკე, საზარელი, ავი ზრახვები

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტები **ვ. ბოგაჩევი** და **ვ. პეტროსენკო** იუწყებიან:

გუშინ ნიუ-იორკში გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც მოწვეულია სამი კვეყნის — ამერიკის შეერთებული შტატების, კუბის, სსრ კავშირის დელეგაციების თხოვნით. 16 საათსა და 10 წუთზე ადგილობრივი დროით თავმჯდომარემ **ვ. ა. ზორინმა** უშიშროების საბჭოს სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

გამოვიდა რა დღის წესრიგის შესახებ, როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი, ვ. ა. ზორინმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მიერ საკითხის დაყენება მოჩვენებითი საფრთხის შესახებ, რასაც თითქოს კუბა უქმნის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ნახევარსფეროს უშიშროებას, ბოლომდე უაღლია. შეერთებული შტატების მიმართვა უშიშროების საბჭოსადმი — უხეში ცდაა — დაფარონ უპრეცედენტო აგრესიული მოქმედება, რომელიც შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს კუბის წინააღმდეგ, დაფარონ კუბის რესპუბლიკის თვითნებური და უკანონო საზღვაო ბლოკადა.

სინამდვილეში საქმის არსი ის არის, ხაზგასმით აღნიშნა ვ. ა. ზორინმა, რომ შეერთებული შტატები ფაქტიურად აწესებენ კუბის ნაპირების ბლოკადას, დგამენ პროვოკაციულ ნაბიჯს, რაც საერთაშორისო სამართლის გაუგონარი დარღვევაა, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის აბუჩად აგდებაა. უშიშროების საბჭოს წინაშე მართლაც გადაუდებელი საკითხი დგას — ის საკითხი, რომ შეერთებულმა შტატებმა დაარღვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და ემუქრებიან მშვიდობას, საკითხი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აგრესიული ომქმედება განახორციელეს კუბის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამ საკითხის არსი ჩამოყალიბებულია დოკუმენტებში, რომლებიც უშიშროების საბჭოს განსახილველად წარმოდგენეს სსრ კავშირისა და კუბის წარმომადგენლებმა. სწორედ ამ დოკუმენტების შესაბამისად განვიხილავთ ჩვენ მთელ საკითხს საბჭოში.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კუბის მუდმივი წარმომადგენლის წერილი, რომელშიც სთხოვს მოიწვიოს უშიშროების საბჭოს სხდომა. უშიშროების საბჭო ამიტომ იწვევს კუბის წარმომადგენელს დაიკავოს ადგილი უშიშროების საბჭოს მაგიდასთან.

თავმჯდომარემ ვ. ა. ზორინმა წამოაყენა წინადადება, რომ უშიშროების საბჭოში შემოტანილი რეზოლუციების პროექტები და კუბის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ უშიშროების საბჭოსთვის გამოგზავნილი წერილები განიხილონ ერთსა და იმავე დროს, ამ წინადადებას წინააღმდეგობა არ გამოუწვევია და მიიღეს. ამის შემდეგ სიტყვა აიღო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა **ედლაი სტივენსონმა.**

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა მოიყვანა რადიოთი და ტელევიზიით კენედის გამოსვლის დიდი ნაწილი და კვეხნით ილაპარაკა მსოფლიოს ხელმძღვანელობის რაღაც განსაკუთრებული ისტორიული მისიის შესახებ, რომელიც წილად ხვდა შეერთებულ შტატებს. იგი მომაბეზრებლად იმეორებდა ამერიკის პროპაგანდის გაცვეთილ ნაყალბევს კომუნიზმის აგრესიული ხასიათის შესახებ, უხეშად დაამახინჯა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა ომისშემდგომ პერიოდში და საერთოდ ერთი სიტყვაც არ უთქვამს კუბის შესახებ. ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი შეეხო განსახილველ საკითხს და ვერც ერთი რამდენიმე საფუძვლიანი საბუთი ვერ მოიყვანა, რათა დაეცვა ამერიკის აგრესია კუბელი ხალხის წინააღმდეგ.

აღიარა რა, რომ მისი მთავრობის პოლიტიკა „ყოველთვის როდი იყო უთუოდ შეუმცდარი“, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა თავხედურად განაცხადა, რომ გაბრახული არა აქვს „ბოდიში მოიხადოს“ ამერიკის 1961 წლის აპრილის შეჭრისათვის კუბაში. სტივენსონმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე წაიკითხა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება კუბის წინააღმდეგ ძალის გამოყენების გეგმების შესახებ.

უშიშროების საბჭოს წინაშე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა გმირი კუბის დელეგატმა **გარსია ინჩაუსტეგიმ.** მან მოაგონა საბჭოს, რომ „ძველი კეთილი დროება“ კუბაში, რომელიც ასეთი სევდით მოიგონა ამერიკელმა სტივენსონმა, იყო შეერთებული შტატების მიერ შეიარაღებული ბატისტას სისხლიანი დიქტატურის დღეები. ეს დღეები წარსულს ჩაბარდა, განაცხადა ინჩაუსტეგიმ.

კუბის დელეგატმა ამხილა ვაშინგტონის ის მტკიცება, რომ პატარა კუბა საფრთხეს უქმნის შეერთებულ შტატებს: უცხოელთა ერთადერთ ბაზას კუბაში, თქვა ინჩაუსტეგიმ, კონტროლს უწევენ შეერთებული შტატები. სწორედ ის შეერთებული შტატები, რომლებსაც ბაზები აქვთ ტაივანში, სამხრეთ კორეაში, რომლებიც ომს აწარმოებენ სამხრეთ ვიეტნამში, რომლებიც ეხმარებიან კოლონიზატორებს ანგოლაში და მხარს უჭერენ იმპერიალისტთა მანეკრებს კონგოში.

ცხადია, თქვა კუბის წარმომადგენელმა, შეერთებულმა შტატებმა სხვათა მაგიერ თვითონვე გადაჭრეს, თუ რომელი ბაზები და რომელი რაკეტებია კარგი, და რომელი — ცუდი. კენედისა და სტივენსონის ლოგიკას რომ დავემყაროთ, მაშინ მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბედი დამოკიდებული იქნება იმ მოხსენებებზე, რომელთაც ამერიკის მთავრობას წარმოუდგენენ ხოლმე მისი აგენტები.

კუბა, თქვა ინჩაუსტეგიმ, ყოველთვის ცდილობდა გადაეჭრა თავისი უთანხმოება ამერიკის შეერთებულ შტატებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, მაგრამ ყოველთვის აწყდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ქედმაღლურ პასუხს. ახლა კი, გახსოვდეთ მან, შეერთებულმა შტატებმა ცალმხრივად განახორციელეს სამხედრო ღონისძიებანი ბატონობისადმი თავიანთი მისწრაფების გამო.

კუბის დელეგატმა განაცხადა, რომ მისი ხალხი არასოდეს არ დაეთანხმება რაიმე კონტროლს თავისი საშინაო საქმეებისადმი. რატომ უნდა გავგზავნოთ მეთვალყურენი კუბაში, წამოიძახა ინჩაუსტეგიმ, და არა ამერიკის სამხედრო ბაზებში, საიდანაც ხორციელდება მეკობრული თავდასხმები ჩვენს კვეყანაზე?

კომუნისტი

№3-2 ბაქრდ. ხუთშაბათი.

25 ოქტომბერი, 1962 წ.

შეერთებული შტატების მიერ დაწესებული სამხედრო-საზღვაო ბლოკადა, — განაგრძო ინჩაუსტეგიმ, — ომის აქტია სუვერენული და დამოუკიდებელი კუბის წინააღმდეგ.

მან ბლოკადას „კარიბის ზღვაში უწოდა შეერთებული შტატების დანაშაულებრივი და სამაგალი აქტი კუბის რევოლუციის წინააღმდეგ. შეიარაღებული შეჭრის მუქარაზე კუბელი ხალხის პასუხი, განაცხადა ინჩაუსტეგიმ, იყო საყოველთაო მობილიზაცია.

კუბის დელეგატმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭომ უნდა მოითხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული ძალების დაუყოვნებლივ გაყვანა კუბის ნაპირებიდან, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ცალმხრივად დაწესებული უკანონო ბლოკადის შეწყვეტა, ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციების შეწყვეტა გუანტანამოში და კუბაზე მათ აგენტთა მეკობრული თავდასხმების შეწყვეტა.

დარბაზის ტაშის გრიალში ინჩაუსტეგიმ თავისი სიტყვა დაამთავრა კუბელი ხალხის ლოზუნგით: „სამშობლო ან სიკვდილი. ჩვენ გავიმარჯვებთ“.

შემდეგ სიტყვა აიღო საბჭოთა კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა **ვიერ თიანენბერი ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინმა.** ამერიკის დელეგაციის მეთაურის გამოსვლის ზერელე გაცნობაც კი, თქვა მან, ცხადყოფს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სრულ უგულოდრუკობას, სრულ უსუსურობას უშიშროების საბჭოს წინაშე. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე, როცა ცდილობენ დაიცვან თავიანთივე აგრესიული მოქმედება. აღნიშნა რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა დამახინჯებულად გააანალიზა ომისშემდგომი ისტორია, ვ. ა. ზორინმა სასაცილოდ აიგდო სტივენსონის მიერ დახატული იდილიური სურათი ამერიკის შეერთებული შტატების და ლათინური ამერიკის ქვეყნების ურთიერთობისა უკანასკნელი საუკუნეახევრის განმავლობაში, მან გაიხსენა ცნობილი ისტორიული ფაქტები, როცა ამერიკის შეერთებული შტატები იყენებდნენ „დიდი კეტის“ პოლიტიკას და ახშობდნენ ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა სუვერენიტეტს. ამერიკის შეერთებული შტატები ამჟამადაც ცდილობენ განახორციელონ „დიდი კეტის“ პოლიტიკა, მაგრამ ამასთან ივიწყებენ, რომ ახლა სულ სხვა დროა.

როგორც ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, სტივენსონსაც ისევ არ მოიხსენია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისრეს მსოფლიო ქანდარმის როლი და აქვთ სამხედრო ბაზები 35 ქვეყანაში. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი წარმოსდგა როგორც წარმომადგენელი ამერიკის აგრესიული იმპერიალისტური ძალებისა, რომლებიც იარაღს აყალიბებენ და მოითხოვენ თავიანთი წესების დამყარებას. ვ. ა. ზორინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სტივენსონის მთელი გამოსვლა სიყალბით იყო გამსჭვალული, სავსე იყო წვრილმანი უმნიშვნელო საკითხებით, რომელზეც საბჭოთა დელეგაციას საქირდოდა არ მიაჩნია პასუხის გაცემა. უშიშროების საბჭო, თქვა ვ. ა. ზორინმა, დღეს შეიკრიბა ვითარებაში, რომელმაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს უაღრესად სერიოზული შეშფოთება კარიბის ზღვის რაიონისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბედისათვის. საქმე ეხება დიდი სახელმწიფოს ცალმხრივ, თვითნებურ მოქმედებას, რომელიც პირდაპირი თავდასხმა პატარა ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე. საქმე ეხება აგრესიის ახალ და უსაშიროეს აქტს შეერთებული შტატების მიერ კუბის წინააღმდეგ უკვე განხორციელებული აგრესიის აქტების ჯაჭვში, რაც ჩაიდინეს საერთაშორისო სამართლის ყველაზე ელემენტარული ნორმებისა და პრინციპების დარღვევით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად დებულებათა, ფორმისა და ნაწარსის დარღვევით. ვ. ა. ზორინმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ფაქტიურად დააწესა კუბის საზღვაო ბლოკადა. ავანტიურისტული მოქმედება, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადება, რომელიც ამ მოქმედებას ამუქებს, ცხადყოფენ, რომ ამერიკის იმპერიალისტური წრეები არაუფრს არ მოერიდებიან, როცა ცდილობენ მოახერხონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სუვერენული სახელმწიფო.

გაითვალისწინა რა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ შექმნილი მდგომარეობის უაღრესად სერიოზულობა, საბჭოთა კავშირის მთავრობამ 23 ოქტომბერს გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, მითითება მისცა თავის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დააყენოს საკითხი უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ, რათა განიხილონ საკითხი: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევა და ამერიკის შეერთებული შტატების მუქარა მშვიდობისადმი“.

როგორც ცნობილია, თქვა ვ. ა. ზორინმა, უშიშროების საბჭოს მიმართა კუბის წარმომადგენელმა გარსია ინჩაუსტეგიმ და სთხოვა სასწრაფოდ მოწვეულ იქნეს უშიშროების საბჭო ომის იმ აქტის გამო, რაც ცალმხრივად მოახდინა შეერთებული შტატების მთავრობამ, ბრძანება რომ გასცა კუბის საზღვაო ბლოკადის დაწესების შესახებ.

ნათლად და პრინციპულად მიმართა უშიშროების საბჭოს, თქვა ვ. ა. ზორინმა, ორმა სახელმწიფომ, რომელთა მოქმედება გამსჭვალულია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შექმნილი უაღრესად საშიში მდგომარეობის განსაკუთრებული სერიოზულობის შეგნებით, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის ზრუნვით. ეს ორი მიმართვა, როგორც ცა დედამიწისაგან, ისე განსხვავდება თვალთმაქცური. მიმართვებისაგან, რაც უშიშროების საბჭოს გადასცა სახელმწიფომ, რომელმაც უშიშროების საბჭოს ზურგს უკან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებისა და საერთაშორისო სამართლის ყველა პრინციპის ფეხქვეშ გათელვით, განახორციელა საომარი აქცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი პატარა ქვეყნის წინააღმდეგ, ახლა კი ცინიკურად ცდილობს გამოვიდეს მშვიდობისმყოფელის როლში. ვ. ა. ზორინმა ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ ყოველგვარი ხარა-ხერის გროვიდან ამოღებული მტკიცებანი ეგრეთწოდებული „საბჭოთა რაკეტული ბაზების განლაგების“ შესახებ კუბაში. ერთი სიტყვით, თქვა ვ. ა. ზორინმა, ოღონდ იყოს ბრძანება — გამონახონ რაიმე საბაბი აგრესიის გასამართლებლად, რომ დანარჩენი მოხელეთა საზრიანობის საქმეა: დაე ეძიონ. და აი, პრეზიდენტ კენედის განცხადებასა და სტივენსონის წერილში ჩნდება თეზისი რაღაც „უდავო დამამტკიცებელი საბუთების“ შესახებ, რომ კუბაში არსებობს საბჭოთა რაკეტული ბაზები — „საბუთები“, რომელთა სიყალბე ცხადია.

და თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ამ პირობებში მაინც გაბედა ეთქვა მტკნარი სიცრუე, თუ იგი არ მოერიდა წამოყენებინა ბოლომდე ყალბი და ცილისმწამებელური თეზისი, თითქოს კუბაში არსებობდეს „შეტევითი“ საბჭოთა რაკეტები, ეს მხოლოდ იმას ცხადყოფს, თუ რამდენად არ ანიჭებს იგი არავითარ მნიშვნელობას იმას, თუ სწორედ რა საბაბი უნდა გამოიყენონ ამჯერად კუბის წინააღმდეგ თავიანთი ახალი აგრესიული აქციების განსახორციელებლად. ეს მხოლოდ ცხადყოფს ცინიზმის სიღრმეს, სანამდეც დაეცა ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების — ეგრეთწოდებული „ახალი ჰორიზონტების“ ოფიციალური პოლიტიკა.

იმ ბრალდებათა სიყალბე, რომლებსაც ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები აყენებენ საბჭოთა კავშირის მიმართ და რომლებიც იმით გამოიხატება, რომ საბჭოთა კავშირმა თითქოს განალაგა კუბაში „შეტევითი იარაღი“ სავსებით ნათელია თავიდანვე.

საბჭოთა დელეგაცია უწინარეს ყოვლისა ოფიციალურად ადასტურებს განცხადებებს, რომლებიც უკვე გააკეთა საბჭოთა კავშირმა ამასთან დაკავშირებით, განცხადებებს, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა მთავრობას არ გაუგზავნია და არ გზავნის კუბაში არავითარ შეტევითი სახეობის იარაღს.

საბჭოთა დელეგაცია, კერძოდ, მოაგონებს საკდესის ამა წლის 11 სექტემბრის განცხადებას, რომელშიც ნათქვამი იყო: „შეიარაღება და სამხდერო ტექნიკა, რაც კუბას ეგზავნება, განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი მიზნებისათვის... საბჭოთა კავშირს არ სურდება გადააადგილოს რომელიმე სხვა კვეყანაში, მაგალითად, კუბაში, თავისი საშუალებანი აგრესიის მოსაგერიებლად, საპასუხო დარტყმისათვის... საბჭოთა კავშირს აქვს ამ ტიპური მუტბები იმდენი მძლავრი მატარებელი რაკეტები, რომ საჭიროებას არ წარმოადგენს ეძიოს მათთ განლაგების ადგილი სადმე საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ“.

შეერთებული შტატების მეთვალყურეებს წყნარ ოკეანეში შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ ამ დეკლარაციის, თუ რა ზუსტად ხდება მიზანში საბჭოთა რაკეტები.

საბჭოთა დელეგაცია მოაგონებს აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადებას, რომელიც მან გააკეთა თავის სიტყვაში ამა წლის 21 სექტემბერს გენერალურ ასამბლეაში. იმის შესახებ, რომ „ყოველი საღადმოაზროვნე ადამიანისათვის ცნობილია“, რომ კუბა არ ბრდის „ბაზებს იმდენად, რომ საფრთხე შეუქმნას ამერიკის შეერთებულ შტატებს, ან ამერიკის შეერთებული შტატების გასვლას პანამის არხისაკენ, ან საფრთხე შეუქმნას დასავლეთ ნახევარსფეროს რომელიმე სახელმწიფოს“, იმის შესახებ, რომ „საბჭოთა კავშირის მიერ გაწეული დახმარება კუბისადმი მისი დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში აგრეთვე არ ისახავს არც ერთ ამ მიზანს, რადგანაც უცხოა ჩვენი პოლიტიკისათვის“.

უნდა მოგაგონოთ აგრეთვე განცხადება, რომელიც ამა წლის 8 ოქტომბერს გააკეთა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოსმა: „ჩვენ იძულებული ვართ შეეიარაღდეთ არა იმისათვის, რომ თავს დავესხათ ვინმეს, რომელიმე ხალხს, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ თავი დავიცვათ... კუბა არ ემუქრება ჩვენი კონტინენტის რომელიმე ქვეყნის უშიშროებას, არ აქვს და არც ჰქონია მათ მიმართ აგრესიული ზრახვანი“.

და ბოლოს, საბჭოთა მთავრობამ დღეს თავის ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც დაეგზავნათ საბჭოს წევრებს, კვლავ ხაზგასმით აღნიშნა შემდეგი:

„რაც შეეხება საბჭოთა კავშირის დახმარებას კუბისადმი, ეს დახმარება მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ხელი შეუწყოს კუბის თავდაცვისუნარიანობას. როგორც ამა წლის 3 სექტემბერს აღინიშნა საბჭოთა კავშირ-კუბის ერთობლივ კომუნიკეში ე. გეგეჩკორი და ე. არაგონესის შემადგენლობით კუბის დელეგაციის საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ, საბჭოთა მთავრობამ დააკმაყოფილა კუბის მთავრობის თხოვნა კუბისათვის იარაღით დახმარების გაწევის შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ეს იარაღი და სამხედრო ტექნიკა განკუთვნილია მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის მიზნისათვის. ორივე ქვეყნის მთავრობები მტკიცედ იდგანან ამ პოზიციას ამჟამადაც.

კუბის თავდაცვის განსამტკიცებლად საბჭოთა კავშირის დახმარების აუცილებლობას იწვევს ის, რომ კუბის რესპუბლიკა თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე განიცდის განუწყვეტელ მუქარასა და პროვოკაციებს შეერთებული შტატების მხრივ“.

ამ უაღრესად მკაფიო განცხადებათა შუქზე ცხადია, რომ მტკიცებანი, —ვუწოდოთ საგანს თავისი სახელი— სავსეებით ცრუ მტკიცებანი, — რომელთაც ამერიკის შეერთებული შტატები ავრცელებენ კუბისა და საბჭოთა კავშირის მხრივ რაღაც აგრესიული ზრახვების შესახებ, თავიდან ბოლომდე მონაჟორია. ეს მონაჟორი ამერიკის შეერთებულ შტატებში წესად იქცა და თავიერობის განცხადებათა დონემდეც კია აყვანილი ერთადერთი მიზნით — დაფარონ, გაამართლონ, გამონახონ თუნდაც რაიმე საბაბი ამერიკის შეერთებული შტატების ახალი, წინანდელზე უფრო შორს გამიზნული და აგრესიული მოქმედების განსახორციელებლად, მოქმედებისა, რომელიც არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და პირდაპირ საფრთხეს უქმნის მშვიდობას ამერიკის შეერთებული შტ-ტების მხრივ.

ბ-ნმა სტივენსონმა მოიყვანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მეორე მუხლის მეოთხე პარაგრაფი. ამ მუხლში ნათქვამია:

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის . საერთაშორისო ურთიერთობაში თავს იკავებს ძალით დამუქრის ან გამოიყენოს ეს ძალა როგორც რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიული შეუვალობის, ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისევე რამე სხვა მხრივ, რაც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების მიზნებთან“.

მაგრამ განა კუბის სამხედრო ბლოკადის გამოცხადება და მთელი ის სამხედრო ღონისძიებანი, რომლებიც შეერთებული შტატების პრეზიდენტის მითითებით განხორციელდა გუშინდელი დღიდან, ძალის მუქარა და გამოყენება არ არის კუბის ტერიტორიული შეუვალობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ? ყოველ საღადმოაზროვნე ადამიანს შეუძლია გაიგოს, რომ ეს უხეში დარღვევაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ამ პრინციპისა, რომელზედაც გაბედულება ეყო ინ ალპარაკა შეერთებული შტატების წარმომადგენელმა? ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია ცდილობს გამოიყენოს ახლა ეს მონაჟორი უშიშროების საბჭოში ძალიან საზარელი მიზნით, რათა შეეცადოს და აიძულოს უშიშროების საბჭო მიიწოლოს გასული რიცხვით ამერიკის შეერთებული შტატების უკანონო აგრესიული მოქმედება კუბის წინააღმდეგ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები უკვე ახორციელებენ ცალმხრივად, აშკარად არღვევენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებსა და პრინციპებს.

მაგრამ მსოფლიოს ხალხებმა ნათლად უნდა წარმოიდგინონ, რომ, მიმართავენ რა აშკარა ავანტიურას, ამერიკის შეერთებული შტატები დგამენ ნაბიჯს მსოფლიო თერმობოლმოური ომის გაჩაღების გზაზე. ასეთია საფასური, რომელიც მსოფლიომ უნდა გაიღოს ამერიკის შეერთებული შტატების უგუნური და უპასუხისმგებელი აქციებისათვის.

მაგრამ რატომ აჩქარდნენ ამერიკის შეერთებული შტატები დაეწყოთ ახალი აგრესიული მოქმედების განხორციელება კუბის წინააღმდეგ, შემდეგ კი უკვე თავი მოეჩვენებინათ, რომ მიმართეს უშიშროების საბჭოს? პასუხს ამ კითხვაზე იძლევა თვით ლოგიკა, თვით სიმაკარავე ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებისა —ასე შეიძლება მოიქცეს მხოლოდ ის, ვინც წინასწარ დარწმუნებულია, რომ უშიშროების საბჭო მხარს არ დაუჭერს, და მართლაც საბჭოს არასოდეს არ შეუძლია მხარი დაუჭიროს, აგრესიულ მოქმედებას. ამერიკის შეერთებული შტატების მიზანი იყო დაეყენებინათ უშიშროების საბჭო მომხდარი ფაქტის წინაშე. საბჭოსათვის მიმართვა კი ეს, ასე ვთქვათ, მხოლოდ „საზოგადოებისათვის განკუთვნილი ჟესტია“. პირდაპირ რომ ვთქვათ — ჟესტია მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დეზორიენტაციისათვის. რასაკვირველია, ასეთი ცინიკური ჟესტისათვის საერთოდ საჭირო არ არის რაიმე დამამტკიცებელი საბუთი. წამოყენებული მტკიცებანი, საკმარისია უბრალო დეკლარაციაც კი თითქოს არსებული „უდავო დამამტკიცებელი საბუთების“ შესახებ.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ახლანდელ პოზიციას უშიშროების საბჭოში აქვს თავისი ლოგიკა — დამამტკიცებელი საბუთები არ არის, მაგრამ ისინი არც სჭირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, რადგანაც როგორც აშკარად წერს დღეს ამერიკის პრესა, ისინი არც კი ვარაუდობენ, რომ უშიშროების საბჭო მოიწონებს მათს აგრესიულ მოქმედებას კუბის წინააღმდეგ. და საერთოდ ისინი ხომ, როგორც ცნობილია, უკვე პრაქტიკულად ახორციელებენ ამ მოქმედებას. უშიშროების საბჭოს კი მხოლოდ მოჩვენებითობისათვის მიმართეს.

რა მომხდარი ფაქტების წინაშე აყენებენ შეერთებული შტატები უშიშროების საბჭოს?

ჯერ ერთი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ცალმხრივად გამოაცხადეს, რომ ისინი აწესებენ კუბის ფაქტიურ ბლოკადას.

მეორეც, შეერთებულმა შტატებმა გაგზავნეს არა მარტო კუბის რაიონში, არამედ უშუალოდ თვით კუბის ტერიტორიაზე — ამერიკის სამხედრო ბაზაში გუანტანამოში—თავიანთი უამრავი შეიარაღებული ძალები, უბრძანეს მათ იყვნენ სავსებით საომრად გამზადებული.

მესამე, შეერთებული შტატები ოფიციალურად აცხადებენ, რომ მათ განზრახული აქვთ არ დაკმაყოფილდნენ ამით და განახორციელონ „შემდგომი მოქმედება“ კუბის წინააღმდეგ, როცა მოეჩვენებათ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ რეზერვში მოიტოვონ „უფლება“ — განაგრძონ აშკარა სამხედრო აგრესია კუბის წინააღმდეგ.

რა დიდიც უნდა იყოს ამჟამად საფრთხე, რომელიც კუბას დაეშუქრა ამერიკის შეერთებული შტატების ამ აგრესიული მოქმედების შედეგად, იგი მაინც სავსებით ვერ გამოხატავს შექმნილი კრიზისული მდგომარეობის სერიოზულობას. კუბის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი უგუნური მოქმედების მთავარი ასპექტი ის არის, რომ, ამერიკის ოფიციალურ განცხადებათა თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მზად არის პირდაპირ გაიჩაღოს მსოფლიო ატომური ომი, რათა განახორციელოს თავისი აგრესიული მიზნები კუბის მიმართ.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისათვის გაგზავნილ ბ-ნ სტივენსონის წერილში, რომელიც დათარიღებულია გუშინდელი რიცხვით, პირდაპირ ნათქვამია: „სასწორზეა დადებული როგორც ერთი განსაზღვრული რაიონის, ისევე მთელი მსოფლიოს მშვიდობა და უშიშროება“. ამრიგად, მთელ მსოფლიოს, უცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან ითამაშონ ვა-ბანკი, სათამაშოდ გაიხადონ მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბედი, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე.

შეერთებულმა შტატებმა გამოაცხადეს, რომ აწესებენ ბლოკადას კუბის წინააღმდეგ, თქვა შემდეგ ზორინმა, და ამით ჩაიდინეს უპრეცედენტო მოქმედება სახელმწიფო ურთიერთობაში, რომელთა შორის ფორმალურად არ არის ომის მდგომარეობა. ამ თავიანთი თვითნებური მეკობრული აქციით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საფრთხე შეუქმნეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის იმ თავიანთი მოკავშირეების ნაოსნობას, რომლებიც არ ეთანხმებიან მათს უგუნურ პოლიტიკას კუბის მიმართ. ამ აგრესიული აქტით, რომელიც საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას, მათ შეურაცხყვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მათ შორის უშიშრების საბჭო — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის.

შეერთებული შტატები, რომლებმაც განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ კუბის წინააღმდეგ თავიანთი აგრესიული მოქმედების განხორციელებაში ჩაითრიონ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, რომელსაც ისინი უკვე უკარნახებენ კოლექტიური სანქციების მოწყობას კუბის წინააღმდეგ, აშკარად არღვევენ უშიშროების საბჭოს პრეროგატივებს. ეს საბჭო ერთადერთი ორგანოა, რომელსაც ყოველგვარი იძულებითი მოქმედების განხორციელების უფლების მინიჭება შეუძლია.

შეერთებულმა შტატებმა თავიანთი ჯარები გადასხეს კუბის რაიონში და თვით კუბის ტერიტორიაზე და განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ გამოიყენონ ძალა, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევენ, და განახორციელეს აშკარა აგრესიის აქტი, მათ დაარღვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რომელიც უკრძალავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს მიმართონ ძალას ან ძალით დაშუქრებას საერთაშორისო ურთიერთობაში.

გამოიჩინეს რა სრული გულგრილობა იმ სერიოზული საერთაშორისო შედეგებისადმი, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მათს ცალმხრივ მოქმედებას კუბის წინააღმდეგ, შეერთებულმა შტატებმა აშკარად შეუქმნეს საფრთხე საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და ამრიგად, თავიანთი მოქმედებით ავტომატურად დასვეს საკითხი, რომ საჭიროა საასწრაფოდ იქნეს მოწვეული უშიშროების საბჭო შექმნილი კრიტიკული მდგომარეობის განსახილველად.

ის ფაქტი, რომ თვით შეერთებულმა შტატებმა მიმართეს უშიშროების საბჭოს, — ეს არის მხოლოდ ყალბი მანევრი. ამერიკის შეერთებულ შტატებს მშვენივრად ესმით, რომ მას შემდეგ, რაც ისინი განახორციელებდნენ ასეთ აშკარა აგრესიულ მოქმედებას კუბის წინააღმდეგ, სულ ერთია წარსდგებოდნენ უშიშროების საბჭოს წინაშე, წარსდგებოდნენ იმისათვის, რომ პასუხი ეგოთ ამ თავხედური, ავანტიურისტული მოქმედებისათვის.

მართლაც, განა შეეძლო უშიშროების საბჭოს გვერდი აევლო იმ ფაქტისათვის, რომ შეერთებული შტატები, როცა თვითნებურად აწესებენ კუბის ფაქტიურ ბლოკადას, დგამენ აშკარა პროვოკაციულ ნაბიჯს, არღვევენ საერთაშორისო სამართალს, ფეხქვეშ თელავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, აბუჩად იგდებენ ყველა ქვეყანასა და ხალხს?

განა შეეძლო უშიშროების საბჭოს გვერდი აევლო იმისათვის, რომ შეერთებულ შტატებს აშკარად შემოაქვთ თავიანთი მოქმედებით ჯუნგლის კანონი საერთაშორისო ურთიერთობაში, მათი ცინიზმი იქამდე მიდის, რომ არა მარტო სჩადიან აგრესიულ მოქმედებას პატარა ქვეყნის — კუბის წინააღმდეგ, არამედ მოითხოვენ კიდეც, რომ კუბამ ანგარიში ჩაბაროს მათ, როგორ მოაწყო თავისი თავდაცვა, და ამასთან თავის ტერიტორიიდან გაიტანოს სამხედრო ტექნიკა, რომელიც მას სჭირდება ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიისაგან დაცვისათვის?

უშიშროების საბჭო როგორც მთავარი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შენარჩუნებისათვის, ვერ შეასრულებდა თავის პირდაპირ მოვალეობას, თუ გვერდს აუვლიდა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას, რაც მხოლოდ ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად დაადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლიკვიდაციის გზ

ამერიკის სამარცხვინო, დასაგმობი აქტი

ხალხები გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა აგრესიულ მოქმედებას

უგუნური გადაწყვეტილება

ლონდონი, 23 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის მშვიდობის დაცვის კომიტეტი გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას კუბის წინააღმდეგ და მოუწოდებს ინგლისელ ხალხს პროტესტის ფართო კამპანია გაშალოს.

აქ გამოქვეყნდა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „შეერთებული შტატები სასწრაფოდ უყრიან თავს შეიარაღებულ ძალებს, რაც მოწმობს, რომ არის კუბაში დაუყოვნებლივ შეჭრის საფრთხე. ჩვენ მოვუწოდებთ დაუყოვნებლივი საყოველთაო მოქმედებისათვის. კუბის დაცვა მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვაა. მხოლოდ გადაუდებელ მოქმედებას, პროტესტს ამერიკის საელჩოს მიმართ შეუძლია ხელი შეუშალოს ამერიკის შეერთებულ შტატებს განაგრძოს ეს უგუნური პოლიტიკა“.

პარიზი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განზრახვა — გააჩიროს ზღვაში და შეამოწმოს ყოველი ქვეყნიდან ან ნავსადგურიდან კუბაში მიმავალი ყოველი ტიპის ყველა გემი, უგუნური გადაწყვეტილებაა, აცხადებს დღეს საფრანგეთის საინფორმაციო სააგენტო „უნიონ ფრანსეზ დ'ენფორმასიონი“, როცა კომენტარს უკეთებს პრეზიდენტ კენედის გამოსვლას.

„უნიონ ფრანსეზ დ'ენფორმასიონი“ სასაცილოდ იღებს მოსაზრებებს, რომლებიც პრეზიდენტ კენედის მოჰყავს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების გასამართლებლად კუბის წინააღმდეგ. განა კუბა დაესხა თავს ვინმეს? კითხულობს სააგენტო. ვის აქვს სამხედრო ბაზა კუბაში? ახალი ბაზა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს. სასაცილოა პირდაპირ, რომ კუბას შეუძლია საფრთხე შეუქმნას შეერთებულ შტატებს.

ამერიკის შეერთებული შტატები, აცხადებს სააგენტო, ისწრაფვიან, წაართვან კუბას არა მარტო იმის უფლება, რომ იცხოვროს, როგორც სურს, არამედ არსებობისა და თავდაცვის საშუალებანიც.

ჰავანა, 24 ოქტომბერი (საკდესი). ჩილის დედაქალაქ სანტ-იაგოში გაიმართა ხალხმრავალი დემონსტრაციები. ასობით მცხოვრები გამოვიდა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში და პროტესტს აცხადებდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედის მილიტარისტული განცხადებისა და შეერთებული შტატების აგრესიული ზომების წინააღმდეგ კუბის მიმართ. როგორც „პრენსა ლატინას“ სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მოხდა შეტაკებები პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის.

ათენი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკული იმპერიალიზმის განსტერული, მეკობრული ზომები თავისუფლების მოყვარე კუბელი ხალხის წინააღმდეგ შეშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს, წერს გაზეთი „ავგი“, კომენტარს უკეთებს რა პრეზიდენტ კენედის გამოსვლას რადიოთი და ტელევიზიით. ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება, აცხადებს გაზეთი, ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ პრინციპებს და საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობას. ატომურ ომს უქადის კაცობრიობას.

გავლენიანი ბურჟუაზიული გაზეთი „ვიმა“ წერს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელეს ზომები, „რომელთა შედეგების წინასწარმეტყველება ძნელია“. მეორე ბურჟუაზიული გაზეთი „მესიმრვინი“ აღნიშნავს, რომ კენედის გადაწყვეტილება საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

მთელი რიგი გაზეთების აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების ზომები წარმოადგენს მზადებას სამხედრო ინტერვენციისათვის კუბის წინააღმდეგ. ათენის დიპლომატიური წრეების ცნობათა მიხედვით, წერს „მესიმრვინი“, საბერძნეთის მთავრობას, აგრეთვე ნატოს წევრი სხვა ქვეყნების მთავრობებს შეატყობინეს, რომ გამორიცხული არ არის ამერიკის შეჭრა კუბაში.

ტოკიო, 23 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლა, რომელსაც მეტად მკაცრი ტონი აქვს, მოგვაგონებს განსვენებული დალესის ავადმახსოვრებელ პოლიტიკას — ომის ზღვარზე ბალანსირების პოლიტიკას, განაცხადა დღეს იაპონიის რადიომაუწყებლობის კორპორაციის კომენტატორმა ფუმიო ფუკუიმ. ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილება, აღნიშნა მან, არა მარტო ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, არამედ სერიოზულ საფრთხესაც უქმნის მსოფლიოს. სავსებით ნათელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნამდვილი მიზანი, რომლის მიღწევას ისინი სხვადასხვა გზით ცდილობენ, არის კუბაში არსებული ხელისუფლების დამხობა.

რომი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განზრახ ჩაიდინეს საერთაშორისო აგრესიის აქტი, განაცხადა დღეს იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა პალმირო ტოლიატიმ დანაშაული იქნებოდა, თქვა მან, დაგვემალა საზოგადოებრივი აზრისათვის, რომ საერთაშორისო ვითარება უაღრესად დაძაბულია. შეერთებული შტატები კუბის ხალხის თავისუფლების წინააღმდეგ გამოდიან.

ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, ვინც პატივს სცემს დემოკრატიას, ყველამ, ვისაც მშვიდობა უყვარს, თქვა ტოლიატიმ, უნდა დაგმოს დღეს ამერიკის აგრესია.

თავიდან ავიცილოთ ომის საფრთხე

ჯონ ბერნალის მიმართვა

ვენა, 24 ოქტომბერი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა — აღმასრულებელმა ჯონ ბერნალმა გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, სადაც გამოთქმულია პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მსოფლიო ომი.

—ახლა, როცა მსოფლიო ომის წარმოშობის საფრთხე უფრო ახლოა, ვიდრე ოდესმე წინათ, — ნათქვამია წერილში, — მე თქვენი მეშვეობით მივმართავ უშიშროების საბჭოს წევრებს ასეული მილიონობით ადამიანის სახელით, რომლებიც განუხრელად იბრძვიან მშვიდობისათვის. ბრძანება, რომელიც მიეცა ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო საზღვაო ფლოტს, — დააკავოს და გაჩხრიკოს კუბაში მიმავალი ყველა გემი, ახსოლუტურად უკანონოა. ამ ბრძანების შესრულება იგივეა, რაც ბლოკადის დაწესება. ამასთან დაკავშირებული სამხედრო ღონისძიებები პროვოკაციული და უდიდეს საფრთხეს უქმნის მშვიდობას. ამ ბრძანების დასაბუთება ისეთ პირობებში, როცა მსოფლიოს ყველა ქალაქი მისაწვდომია ატომური რაკეტებისათვის, მოკლებულია ყოველგვარ აზრს.

რაც შეეხება იმის მომიზეზებას, რომ თითქოს კუბაში არსებული რაკეტული ბაზები ახლოა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მომიზეზებას, რაც მოპყავთ ამ მოქმედების გასამართლებლად, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები უკვე მრავალი წლის მანძილზე გარემოცული არიან რაკეტულ-ატომური იარაღის ბაზების ქსელით, რომლებიც განლაგებულია მათი საზღვრების გაყოლებით, მაგრამ სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ამის პასუხად ისეთ ისტერიულ საომარ მოქმედებას როდი იწყებენ, როგორსაც ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიმართავს სხვა ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება პრეზიდენტ კენედის ბრძანებით, განსაკუთრებით ინტენსიური საბრძოლო მზადება, არ შეიძლება არ შეგაფასოთ, როგორც მზადება კუბაში შეჭრისათვის. ყოველივე ამის მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამჟამად სთხოვს უშიშროების საბჭოს გაამართოს და კიდევაც დაკანონოს მისი მოქმედება. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენ უარყოფთ ამ თხოვნას და, უფრო მეტიც, მოითხოვთ მოხსნან ბლოკადა და ხელი აიღონ ომის მუქარაზე. რაც თან სდევს ბლოკადას, ყველთანაბრად ეერების ორგანიზაციას მხოლოდ დაძაბულობისა და ინტერვენციის მუქარისაგან თავისუფალ ატმოსფეროში შეუძლია განიხილოს კუბის მთელი პრობლემა, ამასთან უზრუნველყოს კუბელი ხალხის იმ უფლების დაცვა, რომ თვითონ განაგოს თავისი ბედი. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავის მთავარ ამოცანას — მშვიდობის დაცვას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებს, თუ დაუყოვნებლივ განახორციელებს მოქმედებას, რათა თავიდან აგვაცილოს ყველაზე სერიოზული საფრთხე, რომელიც მსოფლიოს დამუქრებია მას შემდეგ. რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიქმნა, იხსნას მსოფლიო ატომური ომის საშინელებათაგან“.

ოთხი სახლი სწავლობს...

ვაშინგტონი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). ცნობები საბჭოთა მთავრობის განცხადების შესახებ იმ უპრეცედენტო აგრესიული მოქმედების გამო კუბის წინააღმდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოაცხადა, დაუყოვნებლივ გადასცეს ამერიკის საინფორმაციო სააგენტოებმა და რადიოსადგურებმა.

თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა პ. სელინჯერმა შეადღისას გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ აპირებს კომენტარი გაუკეთოს საბჭოთა მთავრობის განცხადებას, სანამ ამ განცხადების ოფიციალურ ტექსტს არ მიიღებენ ვაშინგტონში და არ შეისწავლიან.



სოციალისტური ქვეყნები ეკონომიურ დახმარებას უწევენ გმირ კუბელ ხალხს.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკამ ჰავანაში გაგზავნა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი მცურავი ამწე „პაბლო სანდოვალი“.

ეს ამწე განკუთვნილია იმ სამრეწველო მოწყობილობის გადმოსატვირთავად, რომელიც ჰავანის ნავსადგურში მიდის.

სურათზე: მცურავი ამწე „პაბლო სანდოვალი“ ჰავანის ნავსადგურში.

ფოტო პრენსა ლატინა-საკდესისა.

ინგლისის პროვოკაციები

კაირო, 23 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთ „ალ-აჰრამის“ კორესპონდენტი სანიდან იუწყება, რომ ინგლისმა დაიწყო აშკარა პროვოკაციული მოქმედება იემენის რესპუბლიკის წინააღმდეგ. რეაქცია, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს ინგლისთან, თავს უყრის თავის ძალებს ნაგრანში, იემენის ჩრდილოეთ საზღვრების ახლოს, რათა კვლავ თავს დაესხას იემენის არაბთა რესპუბლიკას.

ინგლისმა, აღნიშნულია ცნობაში, ბეიხანში, იემენის აღმოსავლეთ საზღვრის მახლობლად, გაგზავნა თავისი „ჰანტერის“ ტიპის სამხედრო თვითმფრინავები და ყოველნაირად აქეზებს დაქირაველებულთა პროვოკაციულ მოქმედებას იემენის არაბთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. ინგლისის სამხედრო სარდლობას შუა აღმოსავლეთში მიეცა ბრძანება გაადიდოს ინგლისის „ჰანტერის“ ტიპის თვითმფრინავთა გაფრენის რიცხვი ამ რაიონში. ბეიხანში ჩავიდნენ აგრეთვე ინგლისის საარტილერიო ქვეგანაყოფები.

მეგობრობის ვიზიტი დამთავრდა

ბერლინი, 23 ოქტომბერი. (საკდესი). წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ხომალდთა რაზმის მეგობრული ვიზიტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ოთხ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში საესკადრო ნაღმისნების „სპრა

ილია ჭავჭავაძის დაბადების 125 წლისთავისათვის

სამეგობლოს დიდი მოამაგე

ძვირფასი სტრიქონები



„მეფე ლირის“ ილიასეული თარგმანის ავტოგრაფი მონახულია

(თითქმის 1873 წლის ივლისიდან 1874 წლის მარტამდე). აი, იმოცა თავისუფალი დრო, აუსრულდა ნანატრი და დაიწყო თარგმნა შექსპირის „მეფე ლირისა“. საბოლოოდ გადათარგმნა ორივეს საერთო ძალღონით... „მეფე ლირის“ საბოლოო რედაქცია ილიას ეკუთვნის. ეს შესანიშნავი ტრაგედია ნათარგმნია ილიასებური ფოლადი სტრიქონებით, ხშირად მძიმე, მაგრამ რიტმული და საზრიანი სტრიქონებით“.

პეტერბურგში ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ხელით 1873 წელს დაწერილი უნიკალური ხელნაწერი „მეფე ლირის“ თარგმანისა ამჟამად ჩვენს ხელთ არის. იგი წარმოადგენს მაგარ ყდაში ჩასმულ საერთო რვეულის ფურცლებს ზომით 21×18 სმ. დასაწყისი გვერდები აკლია, პაგინაცია გაკეთებული აქვს მთარგმნელებისაგან ფურცლების მიხედვით.

ხელნაწერს აკლია 49 ფურცელი. იწყება 50-ე ფურცლიდან მეორე მოქმედების IV სურათი და მთავრდება 129-ე ფურცლით.

ხელნაწერი ავტოგრაფი 50 ფურცლიდან 89 გვერდამდე დაწერილია ივანე მაჩაბლის ხელით, 89-დან 119 ფურცლამდე ჩათვლით დაწერილია ილია ჭავჭავაძის ხელით, შემდეგ ისევ ივანე მაჩაბლის ხელია — ბოლომდე.

ავტოგრაფის მიხედვით ილია ჭავჭავაძესა და ივანე მაჩაბელს თითქმის რიგ-რიგობით უწერიათ „მეფე ლირის“ თარგმანი. რაც შეეხება ნაწერ ტექსტს, ივანეს ავტოგრაფიული ფურცლები ხშირი გადნაბმული და ნასწორებია, ილიასი კი უფრო სუფთაა და ნაკლებად ნასწორები.

ჩვენი სასიქადულო მწერლების ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ეს უნიკალური ხელნაწერი, რომელიც მთარგმნელებს შეუსრულებიათ პეტერბურგში 1873 წელს, ამ რამდენიმე ხნის წინათ შეიძინა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა და დაცულია ხელნაწერთა სეიფში სხვა უნიკალურ ძეგლთა შორის.

„მეფე ლირის“ ახლად მიკვლეული ავტოგრაფი ნათელსა ჰფენს „მეფე ლირის“ თარგმნის ისტორიას, აბათილებს ზოგიერთ დღემდე გამოთქმულ უმართებულო მოსაზრებებს. ამ ხელნაწერით ირკვევა, თუ თარგმანის რომელი ნაწილი ეკუთვნის ერთ და რომელი — მეორეს.

რაც შეეხება „მეფე ლირის“ საბოლოო რედაქციას — ეს, უეჭველია, ილიას ეკუთვნის.

როგორც ვიცით, ილია ჭავჭავაძე ივანე მაჩაბლის ძმას ვასილ მაჩაბელს თბილისიდან 1874 წლის 15 ივნისს პეტერბურგში სწერდა: „ვანოს გულითადს მოკითხვას მოვახსენებ, ვანოს უთხარი, ლირი მივეცი კრებულში დასაბეჭდად. ყველას მოსწონს“... მართლაც ილიასა და ივანე მაჩაბლისეული „მეფე ლირის“ თარგმანი პეტრ უმიკაშვილის ხელისშეწყობით დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“ 1873 წლის მეათე ნომერში.

1874 წლის „დროების“ (№ 420) ფურცლებზე კვითხულობთ: „ჩვენ დავიწყარით „მეფე ლირის“ კითხვას, და მართალი უნდა ვსთქვათ, თარგმანი სწორედ სამაგალითოა. არც ჩვენ, არც სხვებს არ გვეკონა, თუ ეს შესანიშნავი თხზულება ასე მშვენივრად გადმოიღებოდა ქართულ ენაზედ“.

დ. ჟულიაშვილი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერი მუშაკი.

საგურამოს სახლ-მუზეუმში

მუდამ ხალისით სავსეა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში. იგი განსაკუთრებულად გაძლიერებული მაჯისცემით ცოცხლობს ამჟამად. გაცხოველებული მზადებაა დიდი ილიას დაბადების 125 წლისთავის შესახვედრად.

იუბილეს წინადღეებში სახლ-მუზეუმში გაიმართება ილიასადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, რომელზეც მოხსენებებით გამოვლენ სახლ-მუზეუმის მეცნიერ-მუშაკები მწერლის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ თემებზე.

გამოშვებულ იქნება სახლ-მუზეუმის სტაციონარული ექსპოზიციის მეგზურის მეორე შესწორებული გამოცემა ქართულ ენაზე.

გამოიცემა ღია ბარათები სახლ-მუზეუმის ხედების ფერადი სურათებით.

სახლ-მუზეუმის მეცნიერ-მუშაკები მოძრავ გამოფენებს აწყობენ და საუბრებს ატარებენ ილიას შემოქმედებაზე რაიონის საწარმოდ-წესებულებებში, სკოლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საიუბილეო თარიღისათვის დამთავრდება სახლ-მუზეუმის კაპიტალური რემონტი, მოზრდილი სათბურის მოწყობა, სარწყავი ქსელის გაყვანა ყვავილნარებისა და დეკორაციული ნარგავების მოსარწყავად ეზოში. უკვე მოასფალტებულია ეზო ალაყაფის კარიდან წყაროამდე. კეთდება პლანტაჟი ერთ ჰექტარ ფართობზე ახალი ვაზის, ილიას საყვარელი რქაწითლის ჩასაყრელად.

იუბილესთან დაკავშირებით მუზეუმში მოეწყობა ახალი სტენდები:

„ილია ჭავჭავაძე მის თანამედროვე ევროპულ პრესაში“, მხატვრული მაკეტი „ნაქროს შეხვედრა მეურმესთან“, („კაკო ყარაღიდან“), ერთობლივი ბარელიეფი „ილია და აკაკი“, სახლ-მუზეუმში გამოფენილი იქნება აგრეთვე საგურამოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია უძვირფასესი ექსპონატი — ილიას ნაქონი ავაზას მშვენივრად შენახული ტყავი წითელი მაუდის სარჩულზე, რომელიც სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცა ქ. თბილისში მცხოვრებმა **მარიამ გიორგის ასულმა ჩანტლაძემ.**

გ. მიხელიძე,

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის დირექტორი.

• • •

სურათზე: ილია თავის მეუღლესთან ოლგა გურამიშვილთან ერთად საგურამოში.

ჯანმრთელობის ჯაღი

ბმ ჭაღს ყარაგანდელი მეშახტეები ჯადოსნურს უწოდებენ — იგი უხილავ „ვიტამინებს“ გამოასხივებს. მისი ნემსსებრი ნახვრეტებიდან მოედინება ელექტრული განმუხტვები და ჰაერს იონიზებული ტანგბადით ავსებს.

რამდენიმე წლის წინათ ყანგბადის უარყოფითად დამუხტული ნაწილაკების ძვირფასი თვისებები გამოარკვია ყარაგანდელმა მეცნიერმა ალექსანდრე ჩიჟევსკიმ. ჰაერის სამკურნალო „ვიტამინების“ შემწეობით ასობით ადამიანი განკურნებულ იქნა სხვადასხვა სენისაგან.

პროფესორმა ჩიჟევსკიმ გადაწყვიტა თავისი გამოგონება გამოეყენებინა საწარმოებში შრომის გასაუმჯობესებლად. აეროიონიზაციის გამოყენება დაიწყეს ყარაგანდის შახტებში.

№ 38 შახტის მაღაროელებს სანგრეგში ყოველი ჩასვლის წინ აეროჰაერით ასხივებდნენ. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მკვეთრად შემცირდა გრიპით დაავადების შემთხვევები. მეშახტეთა სისხლში იმატა ჰემოგლობინის რაოდენობამ, ნორმალური გახდა სისხლის წნევა.

შახტის გასასვლელში კონცენტრირებული ჰაერი თავისი სამკურნალო თვისებებით არ ჩამოუვარდება მაღალმთიანი და ზღვისპირა კურორტების ჰაერს. სტამფულს აძლევს რა ყველა სასიცოცხლო პროცესს, აეროიონიზაცია ხელს უწყობს მაღაროელთა შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

ამჟამად პროფესორი ალექსანდრე ჩიჟევსკი მუშაობს აეროიონიზაციის დანერგვაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მისი აზრით, ყანგბადის უარყოფითად დამუხტული ნაწილაკების სამკურნალო თვისებები ხელს შეუწყობს მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებას, მოსავლიანობის გადიდებას.

საგენტო „ახალი ამბები“.

ლიტველთა სტუმრები

ოქროს შემოდგომის დღეებია ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში.

სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში გამოიყოფნენ ჩვენი ძვირფასი სტუმრები, მოძმე საქართველოს ხელოვნების ოსტატები. დიდი წარმატებით ჩაიარა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ანგელინა მიქაბერიძის, კუთაისის ცეკვის ახალგაზრდული ანსამბლისა და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრის „რერიოს“ გასტროლებმა.

მაყურებლები მოხიბლული დარჩნენ ცეცხლოვანი ქართული ცეკვებით, მომაჯადოებელი სიმღერებით. სიმფონიურ ორკესტრის კონცერტი ტრანსლირებულ იქნა რადიოთი და მას მთელი რესპუბლიკა უსმენდა.

კაზის კულბონასი.

ვილნიუსი.



ჩვენი გროსმაისტერული სალამი!

საჭადრაკო სამყაროს სიხარული

საუცხოო მანქანაა ტუ-104! შემოდგომის მოღუშულ დღეებში აფრინდება მოსკოვიდან და უკვე საათნახევრის შემდეგ ტკბები შესანიშნავი სანახაობით: მზით უხვად გაშუქებული კავკასიის მთებით.

კავკასია! დედამიწის რა ძველი, ისტორიული ამბებით მდიდარი წარმტაცი მხარეა, რა შესანიშნავი, ნიჭიერი ადამიანები ცხოვრობდნენ მუდამ და ახლაც ცხოვრობენ ამ მაღალი მთების ძირში.

უნებლიეთ ვფიქრობ ჭადრაკზე: რა როლს ასრულებდა კავკასია ჭადრაკის განვითარებაში, რა ოსტატები მისცა კავკასიამ ჭადრაკის სამყაროს? არც თუ ისე ბევრი. მაგრამ უკანასკნელ ხანს გასაოცარი ცვლილება ხდება კავკასიის სახარგებლოდ.

ამა ერთი დაუფიქრდით: საქართველოს ორმა მკვიდრმა—ტიგრან პეტროსიანმა და ნონა გაფრინდაშვილმა მიიღეს უფლება მსოფლიოს ჩემპიონის წოდებისათვის ბრძოლისა!

საჭადრაკო სამყარო განცვიფრებულია. მართალია, ჯერ ერთობით ტიგრან პეტროსიანის სახელის გასწვრივ დიდი კითხვის ნიშანი ზის, ჯერ კიდევ არ არის მთლად ნათელი, იქნება თუ არა იგი მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ თბილისი და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ერევანი ძალიან განიცდიან და ღელავენ.

„ქალთა საკითხი“ უკვე გადაჭრილია. ნონა გაფრინდაშვილი უკვე არა პრეტენდენტი, არამედ მთელი კვირაა მსოფლიოს დედოფალია ჭადრაკში. წარსულში ჭადრაკის ოსტატები, გროსმაისტერები თბილისში ჩამოდიოდნენ როგორც მასწავლებლები, გამომცდელები, გასტროლიორები. დღეს თბილისში ჩამოვდიოვართ პატივისცემის გრძნობით: ძველი ქალაქი თბილისი მსოფლიოს ჩემპიონის რეზიდენცია გახდა. ამ მშვენიერ რეზიდენციას ჩვენი მოკრძალებული გროსმაისტერული სალამი!

მე ჩამოვფრინდი მომხიბლავ ნინა გრუშკოვა-ბელსკასთან ერთად. იგი, როგორც უველასათვის ცნობილია, ბიკოვა-გაფრინდაშვილის მატჩის მთავარი არბიტრი იყო, მე კი ვარნის ოლიმპიადის მთავარი არბიტრი გახლდით. ორივემ ჩავაბარეთ ჩვენი საქმეები: ნინა გრუშკოვამ მსოფლიოს ჩემპიონის თასი გადასცა ნონა გაფრინდაშვილს, ხოლო მე მსოფლიოს გუნდური ჩემპიონის თასი გადავეცი სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანს.

თბილისში ჩვენ ჩამოვფრინდით არა როგორც მკაცრი მსაჯები, არამედ როგორც სტუმრები „ზეიმის მიზეზთან“ საზეიმო შეხვედრაზე.

ნონა გაფრინდაშვილი.

ძალიან დასანანია, რომ ნონასთან ერთად მატარებლით არ ვიმგზავრეთ. მაშინ დავინახავდით, რა აღტაცებითა და სიყვარულით ეგებებოდნენ ნონას თითქმის ყველა სადგურში, რომლებიც მან საქართველოს მიწაზე გაიარა. მისი მშობლიური ზუგდიდის მცხოვრებლები ვეღარ დაელოდნენ ნონას ჩამოსვლის მომენტს და მათი დიდი ჯგუფი ნონას შეხვდა სოხუმში, რათა ჭადრაკის გმირთან ერთად თუნდაც ორი საათი გაეტარებინა მატარებელში.

სალო ფლორი

დასანანია, რომ ვერ დავესწარით მსოფლიოს ჩემპიონის შეხვედრას თბილისის ვაგზალში. გავიგეთ, რომ ნონა აღტაცებულმა ხალხმა კინაღამ გასრისა. ძალიან ვთხოვ მეტისმეტად ფიცს და ტემპერამენტიან გულშემატკივრებს მომავალში გაითვალისწინონ, რომ ნონა ნაზი ქალიშვილია, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში მოვიდავე როდია, ამიტომ არ გასრისონ ნონა. იგი ძალიან და ძალიან გამოადგება თავის საბჭოთა საქართველოს, იგი ძალიან გამოადგება მთელ საჭადრაკო სამყაროს ჭადრაკის ხელოვნების განსავითარებლად.

მკითხველებს ალბათ აინტერესებთ, თუ ბულგარეთში ოლიმპიადაზე როგორ ადევნებდნენ თვალს მსოფლიოს ორი საუკეთესო მოჭადრაკე ქალის ორთაბრძოლას მოსკოვში. რა თქმა უნდა, დიდი ინტერესით. ჯერ ეინტერესებოდათ, პირველ პარტიაში ვინ ითამაშებდა თეთრებით და ვინ შავებით. ნონას პირველმა გამარჯვებამ უფროსი ასაკის მოჭადრაკეთა ერთგვარი გაკვირვება და ახალგაზრდათა სიხარული გამოიწვია. რაცა ანგარიში გადიდა ნონას სასარგებლოდ, ბევრმა ოსტენჯობა დაიწყო: რომელ სვლაზე დანებდა ბიკოვა? მატჩი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა? სიმართლე რომ გითხრათ, საბჭოთა გროსმაისტერები ძალიან შიშობდნენ, რომ შეჯიბრების დახურვას ვერ მოუსწრებდნენ და ამიტომ კიდევაც გაეხარდათ, როცა ბიკოვამ რამდენიმე დღით „ტაიმ აუტი“ აიღო. მატჩის დასასრულს ბევრი ამბობდა: ყოჩაღ ნონა, მაგრამ ბიკოვა გვეცოდებაო; იგი ასეთი სასტიკი დამარცხების ღირსი არ იყოო.

ოლიმპიადის მონაწილეებს უნდოდათ ენახათ გათამაშებული პარტიები. ისინი ყველა ქვეყანაში იგზავნებოდა და უეჭველია მსოფლიოს საჭადრაკო ლიტერატურის ბევრ ჟურნალში გამოჩნდება.

დოკტორმა მ. ეივემ ინტერესით გადასინჯა მეშვიდე პარტია და ჰოლანდიაში გაგზავნა იგი. „ძალიან კარგად თამაშობს ნონა“, განაცხადა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა. „ახალი ტალი!“ — თქვა ეივემ.

და იგი მართალია. მე გამახსენდა 1959 წლის თბილისი, რუსთაველის თეატრში შესანიშნავად მოწყობილი სსრ კავშირის 26-ე ჩემპიონატი. ბევრი თბილისელის სათაყვანო მიხეილ ტალი იყო. მე ვფიქრობ, რომ ნონას მოჭადრაკის სული, მოჭადრაკის გული აგრეთვე ძლიერად ძგერდა ტალისათვის. ხომ მართალია, ნონა? შემდეგ ნონა წერდა, ტალი, როგორც მოჭადრაკე, ჩემი იდეალიაო. ისევე, როგორც მიხეილ ტალი, ნონა უაღრესად ნიჭიერი მოჭადრაკეა, ისევე, როგორც ტალი, ნონა შეგიძლიათ გაადვიძოთ ღამით და იგი ჭადრაკს გეთამაშებათ! განა ეს ცუდია? არა, პირიქით, ეს ძალიან კარგია. საჭადრაკო სამყაროს ძალიან უყვარს ასეთი ჩემპიონები.

ისევე, როგორც მიხეილ ტალს, ნონას აფრენაც ჭადრაკის ოლიმპზე პირდაპირ კოსმოსური იყო. ამასთან დაკავშირებით შეიძლება წამოიჭრას საკითხი: ხომ არ ემუქრება ნონას, ისევე როგორც ტალს 1961 წელს, მწარე იმედგაცრუება? რასა იზამ? წარუმატებლობა, იმედგაცრუება ყოველთვის ემუქრება მოჭადრაკეს. იგი თვითონ უნდა ცდილობდეს თავიდან აიცილოს უსიამოვნებანი. ვფიქრობ, ნონა იმათ რიცხვს არ ეკუთვნის, ვინც გაუყოყოჩებას აპირებს, ვინც განცხრომას აპირებს. ტალიც ასეთი მოჭადრაკე როდია, მაგრამ მან დაუშვა შეცდომები, რომლებიც ძვირად ზღო. მაგრამ ამაზე სხვა დროს ვილაპარაკებ.

ნონა 21 წლისა ავიდა საჭადრაკო ტახტზე — ეს უმაღლესი სპორტული მიღწევაა. მაგრამ, ვითვალისწინებთ რა ნონას უდიდეს ბუნებრივ ნიჭს, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ჯერ კიდევ ვითარდება და სულაც არ ამოუწურავს თავისი ნიჭის მთელი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. ივანე მიხეილ ტალი თავის მისასალმებელ დეპეშაში გაფრინდაშვილს ურჩევს: „ახლა მამაკაცებს მიბაყეთ ხელი!“, კარგი რჩევაა.

მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ქალი, შესანიშნავი ვერა მენჩიკი წარმატებით ეთამაშებოდა მამაკაცებს. 30-იან წლებში, როგორც ცნობილია, შეიქმნა ეგრეთწოდებული „ვერა მენჩიკის სახელობის კლუბი“. იქ წევრებად იღებდნენ მხოლოდ ისეთებს, რომლებმაც წააგეს ან ყაიმით დაამთავრეს პარტია ვერა მენჩიკთან. ამ კლუბის პრეზიდენტად ითვლებოდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, რომელმაც ორჯერ (!) წააგო მენჩიკთან. მეც ვიყავი ამ კლუბის წევრი (2-3-ჯერ ვითამაშე და პარტიები ყაიმით დავამთავრე). კლუბის წევრთა რიცხვი წლითიწლობით იზრდებოდა და არ ვიცით, რამდენი წევრი ეყოლებოდა მას დღეს, რომ, სამწუხაროდ, მენჩიკი არ დაღუპულიყო გერმანული ბომბისაგან ლონდონზე გერმანელთა თავდასხმის დროს.

საკითხავია, შესაძლებელია თუ არა დღეს შეიქმნას „ნონა გაფრინდაშვილის სახელობის კლუბი“? დიახ, შესაძლებელია,. სავსებით შესაძლებელია. პრეტენდენტებიც კი არიან პრეზიდენტის პოსტზე: ოსტატი ბუსლაევი, ოსტატი ბლაგიძე, ოსტატი გურგენიძე. თუ ნონა გაბედულად ითამაშებს მამაკაცებთან, არის იმის შანსები, რომ საკმაოდ სოლიდური კლუბი გამოვა. აი ნახავთ!

ხუთრობას თავი დავანებოთ. შორეულ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მამაკაცები ქალების მისამართით ირონიულად იღიმებოდნენ და ამბობდნენ, ჭადრაკი „ქალის საქმე არ არისო“! მხოლოდ ისეთ შეზღუდულ ბიჭს, როგორიც რობერტ ფიშერია, შეუძლია თქვას ისეთი სისულელე, რომ ყოველ ქალს ფორად ფიგურას მისცემს. თქმა ყველაფრისა შეიძლება. ბობი, თქვენ ხომ შარვალი აღარ შეგრჩებათ!

ჩვენს ეპოქაში, როცა მთელი მსოფლიო ელის მსოფლიოს პირველი ქოსმონავტი ქალის სახელის გაგონებას, მამაკაცები ქალებს უდიდესი პატივისცემით უნდა ეკიდებოდნენ. ისეთი გამოთქმები, როგორიც არის „ქალის საქმე არ არისო“, უნდა გაჩრეს მამაკაცთა ლექსიკონიდან. უნდა შეწყდეს ირონიული ღიმილი მოჭადრაკე ქალთა მისამართით.

საქართველოში დიდი საჭადრაკო დღესასწაულია. ნონა დამსახურებულად გახდა ჩემპიონი, ნამდვილი გმირი. მიღელვარება, განცდები ბევრი იყო. თუმცა, ვგონებ, რომ ეს განცდები კიდევ მეტი იქნებოდა, რომ ნონას ასეთი უმაგალითო ძლიერი შეტევითი ტემპი არ გამოეჩინა. უფრაქტიურად ხომ შვიდი პარტიის შემდეგ „საკითხები აღარ იყო“ და უკვე 11 პარტიის შემდეგ ნონას დაფნის გვირგვინი დაადგეს. ამრიგად, ნონამ დაზოგა თავის გულშემატკივართა ნერვები და ჯანმრთელობა და ძალთა ამ ეკონომიისათვის თბილისელი გულშემატკივრები მსოფლიოს ახალი ჩემპიონის მადლობელი უნდა იყონ.

ერთ ხანს ნონა საქართველოში დაპყოფს. შემდეგ დაიწყება ახალი შეხვედრები, ახალი ბრძოლები, რადგან მსოფლიოს ჩემპიონი მთელ საჭადრაკო სამყაროს ეკუთვნის. დღეს მთელ მსოფლიოში გრგვინავს ქართველი ხალხის შვილის ნონა გაფრინდაშვილის სახელი. ნაკადად წამოვა წინადადებები და მიპატიჟებანი. ნონა საერთაშორისო ასპარეზზე გავა.

მსოფლიოს ჩემპიონს ავტომატურად ეძლევა მუდმივი სავარძელი ჭადრაკის მსოფლიო ფედერაციის ცენტრალურ კომიტეტში.

წელს სსრ კავშირიდან ორი გროსმაისტერია მიწვეული ტურნირზე ჰასტინგსში, სადაც შარშან ვიყავით მ. ბოტვინიკი და მე. მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობდა იმ სავარძელში მჯდომი, რომელშიც ოდესღაც იჯდა თამაშობისას მ. ჩიგორინი.

ჰასტინგსის კლუბი ძველებური, ძველი ტრადიციების კლუბია. არ არის მოჭადრაკე, რომელსაც ჰასტინგსში არ ეთამაშოს. მსოფლიოში ცნობილ ამ საჭადრაკო ქალაქში ცხოვრობდა ვერა მენჩიკის დედა და ჰასტინგსში იღებდა ჭადრაკის გაკვეთილებს ვერა თავის სახელოვან მასწავლებელ გ. მაროცსთან. წელს ჰასტინგსი აპირებს აგრეთვე ქალთა საერთაშორისო ტურნირის მოწყობას და უეჭველია „არ დავიწყდება“ ნონა გაფრინდაშვილის მიწვევა.

ნონა ახალგაზრდაა, განსაკუთრებით ნიჭიერია. ნონა თავმდაბალი იყო, და დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებები მას თავბრუს არ დაახვევს.

ნონას ფანატიკურად უყვარს ჭადრაკი. მაგრამ კიდევ უფრო ძლიერ უყვარს თავისი სამშობლო, თავისი საბჭოთა საქართველო, თავისი ზუგდიდი, თავისი თბილისი.

სადაც არ უნდა წავიდეს ნონა, იგი მთელი ძალებით შეეცდება ასახელოს თავისი ხალხი. ჩემთვის სავსებით გასაგებია სიხარული, რომლითაც მოცული თბილისი გაფრინდაშვილის წარმატების გამო. ქართველმა საბჭოთა ხალხმა გამოზარდა მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში. მას სასიხარულოც აქვს და საამაყოც.

ჭადრაკი სპორტის გონებრივი სახეა (ჭადრაკს „ძირითადად“ თავით თამაშობენ!), რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას და კიდევაც უნდა იქნას მიღებული როგორც ფაქტორი ადამიანის და თვით ხალხის კულტურული განვითარების შეფასებაში. ამიტომ ნ. გაფრინდაშვილის გამარჯვება შეიძლება შეფასდესთ არა მარტო როგორც მისი პირადი მიღწევა, არამედ როგორც რესუბლიკის, მთელი ხალხის სპორტული, საჭადრაკო საზოგადოებრიობის ბრწყინვალე მიღწევა.

საბჭოთა კულტურის ამ ბრწყინვალე წარმატებას სულით და გულით ვფლოცავ საქართველოს მშრომელებს.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

პოლონეთის საექსპორტო საქონლის გამოფენა

უკვე მეათე დღეა მრავალი სტუმარი ჰყავს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საექსპორტო საქონლის გამოფენას, რომელიც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზეა მოწყობილი.

აქ მოდიან დედაქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუშები, ინჟინრები, მეცნიერები, ექიმები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. ბევრი რამ არის საინტერესო გამოფენაზე. შესასვლელში, ღია მოედანზე ყურადღებას იქცევს პოლონეთის სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და საგზაო მანქანები.

გამოფენაზე ექსპონირებულია მრავალი ელექტროდანადგარი, რომლებსაც დიდი გამოყენება აქვს მრეწველობაში, მედიცინაში, ყოფაცხოვრებაში. მნახველთა ყურადღებას იქცევს თანამედროვე საოპერაციო მაგიდა, რომელიც პოლონეთის ცნობილი ქირურგის ვ. გრუცას პროექტის მიხედვით არის დამზადებული. აქვეა კარდიოსაპული აპარატურა. იგი აჩვენებს გულის მუშაობის ოპერაციის დროს. აღსანიშნავია ადამიანის ორგანიზმიდან ავადმყოფობისას სითხის ამომწოვი ხელსაწყო და სხვ. გამოფენა მდიდრად არის დაყურათებული ილუსტრაციით. ამავე პავილიონში ექსპონირებულია კინოაპარატურა, სხვადასხვა სახის გამაძლერელები, პროექტორები, ტელეფონების ფერადი აპარატები, ქვესადგური სადისპეტჩერო კავშირებისათვის.

მნახველები საოგოვნებით ჩერდებიან ტელევიზორთან, რომელშიც ისინი თავიანთ თავს ხედავენ. ეს არის ახალი პოლონური ტელევიზორი „ელფა“. მას დიდი გამოყენება აქვს მრეწველობაში, მედიცინაში.

გამოფენაზე ჩამოსული არიან პოლონელი სპეციალისტები. ისინი აცნობენ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა ხელმძღვანელებს, საქმიან პირებს იმ ხელსაწყოებს, აპარატურას და მანქანებს, რომლებიც საექსპორტოდ არის ჩამოტანილი. გუშინ პოლონელმა სპეციალისტებმა გაართეს ტექნიკური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ქალაქის საპროექტო ინსტიტუტებისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში გამოფენის დირექტორმა ს. ოკოზმა აღნიშნა: — თბილისელები დიდ ინტერესს იჩენენ. გამოფენისადმი. გახსნიდან დღემდე იგი დაათვალიერა 20 ათასზე მეტმა კაცმა. საქართველოს ბევრი საწარმოს წარმომადგენლებმა მოიწოდეს ჩვენი მანქანები. ამას მოწმობს გამოფენის შთაბეჭდილებათა წიგნის ჩანაწერები. პოლონეთის გამოფენა უდავოდ შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

25 ოქტომბერს გამოფენის დამთვალიერებელთა შორის მოეწყობა კონკურსი თემაზე „ვინ უკეთ იცნობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას“. გამარჯვებულთათვის დაწესებულია სპეციალური ჯილდოები.

პოლონეთის საექსპორტო საქონლის გამოფენა 29 ოქტომბრამდე იმუშავებს.

• • •

სურათზე: **პოლონური გამოფენის ერთ-ერთი კუთხე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე.**

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ქალაქის სუნთქვა

ჩვენს ქალაქებში ასფალტისა და ბენზინის სუნი, რაც თითქოს ესოდენ ჩვეულებრივია ქალაქის მცხოვრებთათვის, წლითიწლობით უკან იხევს ორანჟერიებისა და მდელოების არომატის წინაშე.

თეთრი, ოქროსფერი, წითელი ვარდები აყვავდა წელს მოსკოვის მოედნებზე: ვარდის 62 ათასი ბუჩქი დაირგო პირველ თბილ დღეებში. მათ დაამშვენეს სკოლებისა და საბავშვო საადმყოფოების ტერიტორიები, ფაბრიკების ეზოები.

კიევი — მორთულ-მოკაზმული, დნეპრის ფერდობებისა და პარკების შესანიშნავი ბუნებრივი ჩარჩოთი შემორკალული, კრეშჩატიკზე აყვავებული წაბლის ხეებით და მელნიკის ქუჩაზე ვაშლის ხეებით დამშვენებული. ამას წინათ ქალაქის მწვანე სამკაულს მიემატა სახალხო მეურნეობის მოწინავე გამოცდილების გამოფენის მიჩურჩული ბაღი. კიეველები ამაყობენ: ახლა თვითეულ მათგანზე „მოდის“ 18 კვადრატული მეტრი მწვანე ნარგავები. ეს ორჯერ მეტია, ვიდრე ნიუ-იორკში, და სამჯერ მეტი, ვიდრე ლონდონში.

ახალგაზრდა ქალაქების გაშენების დროს ახლა აღარ იძლევიან ხეების გაჩეხვის ნებას. პირიქით, ქალაქის გარშემო მდებარე ყველა მწვანე ტერიტორია მის ბუნებრივი ჩარჩო ხდება. ახლა ჯანსაღი „ფილტვები“ მიიღეს ანგარსკისა და ხუმგაითის, ვოლგსკისა და რუსთავის მცხოვრებლებმა. მთელი ჩვენი ქვეყანა — მკაცრი ნორილსკიდან ცხელ დუშანბემდე — აყვავებულ ბაღად იქცევა.

ნ. ჟელეზნოვა.

საგენტო „ახალი ამბები“.

მეცნიერება და ტექნიკა



ოქმეულისტი

სპორტი

მეტად მომხიბვლელი

სპორტ'ის მოყვარულები შეუნელებელი ინტერესით მოელოდნენ იაპონელ ტანმოვარჯიშეთა გამოსვლას თბილისში. ამიტომ იყო, რომ გუშინ სპორტის სასახლეში ამ გრაციოზულ სანახაობას მრავალი მაყურებელი ესწრებოდა.

მართალია, ეს იყო ერთობლივი საჩვენებელი გამოსვლა, ერთმანეთთან პირისპირ არ იდგნენ მეტოქენი, არ ხდებოდა ჩათვლები. მაგრამ როგორც სტუმრები, ისე მასპინძლები მთელი მონდომებით ცდილობდნენ ეჩვენებიათ თავიანთი ოსტატობა სხვადასხვა იარაღებზე ვარჯიშში.

მაყურებლები მხურვალე ტაშით შეხვდნენ პრაღის მსოფლიო პირველობის ვერცხლის მედალოსანს მრავალჯიდში, მსოფლიოს ჩემპიონთა თავისუფალ ვარჯიშში, ვერცხლის მედლების მფლობელს ღერძზე და ორძელზე ვარჯიშში, აგრეთვე ბრინჯაოს მედალოსანს ბჯენით ხტომებსა და რგოლებზე ვარჯიშში ი. ენდოს. მისმა ვარჯიშებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე მიცუკური, იამაშიტა და საქართველოს სპორტსმენები.

შესანიშნავი მომზადება და ვარჯიში აჩვენეს იაპონელმა და საქართველოს ტანმოვარჯიშე ქალებმა, რომლებიც გამოდიოდნენ ბჯენით ხტომებსა და ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშში.

საერთოდ იაპონიისა და საქართველოს ტანმოვარჯიშე ქალთა და ვაჟთა ერთობლივი საჩვენებელი გამოსვლები მიმდინარეობდა მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში.

ღღეს გაიმართება ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლები დანარჩენ იარაღებზე.

სამი მატჩი, სამი გამარჯვება

მოსკოვში თამაშობდნენ დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები. მატჩის შედეგია 1:0 დინამოელთა სასარგებლოდ.

ლენინგრადში ადგილმრავი „ზენიტი“ შეხვდა ბაქოს „ნეფტიანიკს“ და გაიმარჯვა 5:1.

დონეცკში სსრ კავშირის თასის მფლობელი „შახტიორის“ გუნდი თამაშობდა ტაშკენტის „პახტაკორის“ წინააღმდეგ. შეჯიბრება დამთავრდა „შახტიორის“ დამარცხებით 0:1.